საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

23 მაი 2025 წ.

KA000062145783925

№ **25/4087**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ პაატა სალიას

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო პაატა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა № 2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული [redacted] საქმე, მის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე ინფორმირების, ასევე, თანმდევი სამართლებრივი პროცედურების (შესაბამისი დოკუმენტების გაცნობა, ახსნა-განმარტების წარდგენა, ადვოკატის მოწვევა, შესაბამისი განკარგულების გასაჩივრება) წარმოების პროცესში უფლებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებები

2025 წლის 9 იანვარს, სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა № 2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, [redacted].

მსჯავრდებულმა შეხვედრის დროს განმარტა, რომ სასჯელს იხდის № 2 პენიტენციური დაწესებულების [redacted] კორპუსის [redacted] საკანში. ამავე კორპუსის [redacted] საკანში იმყოფება მსჯავრდებული [redacted], რომელიც თითქმის ყოველდღიურად აყენებს მას სიტყვიერ შეურაცხყოფას. [redacted] აცხადებდა, რომ დაწესებულების თანამშრომლები ინფორმირებულები არიან აღნიშნულის თაობაზე, თუმცა არ ახდენენ სათანადო რეაგირებას და შემოიფარგლებიან მხოლოდ [redacted] ზეპირი გასაუბრებით, რაც უშედეგოა.

9 იანვრის შეხვედრის დროს, [redacted] დამატებით აღნიშნა, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის ბოლო ფაქტი მის მიმართ 2025 წლის 6 იანვარს მოხდა, რის თაობაზეც შეატყობინა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზს, თუმცა არ ფლობდა ინფორმაციას განხორციელებული რეაგირების შესახებ.

მითითებული საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს.[1]

უწყებიდან მიღებული პასუხით აპარატს ეცნობა, რომ 2025 წლის 6 იანვრის ფაქტზე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის განკარგულებით, ორივე პირის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სახდელი.[2]

ვინაიდან მიღებული წერილის შინაარსი შეიცავდა ასევე სხვა პირის (მსჯავრდებულის) პერსონალურ მონაცემებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აპარატმა აცნობა [redacted] მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მოცემულ ფაქტზე №2 პენიტენციური დაწესებულების მიერ სამართლებრივი რეაგირების განხორციელების და მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის თაობაზე.[3]

2025 წლის 9 თებერვალს, მსჯავრდებული [redacted] კვლავ დაუკავშირდა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზს. პატიმარი აცხადებდა, რომ უსამართლოდ დაეკისრა დისციპლინური სახდელი და არ მიეცა მისი გასაჩივრების საშუალება. ამასთან ერთად, პარასკევს, 7 თებერვალს, არ მისცეს უფლება დაერეკა სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. იმის გამო, რომ ზემოხსენებულ უწყებებთან დაკავშრება მოითხოვა, მოათავსეს დეესკალაციის ოთახშიც.[4]

დამატებითი შეხვედრის დროს (19.02.2025), [redacted] დააკონკრეტა, რომ არ იყო ინფორმირებული მის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე და აღნიშნული ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული პასუხის გაცნობის შემდგომ შეიტყო (07.02.2025), რამაც მისი აღელვება და საბოლოოდ, დეესკალაციის ოთახში განთავსება გამოიწვია.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა [redacted] მიმართ 2025 წლის 6 იანვრის ფაქტზე გამოყენებული დისციპლინური სახდელისა და 2025 წლის 7 თებერვალს დეესკალაციის საკანში განთავსების თაობაზე წარმოებული ყველა დოკუმენტის ასლი.[5]

მიღებულ დოკუმენტებში[6] არსებული ინფორმაციით, 2025 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 20:20 საათზე, №2 პენიტენციური დაწესებულების [redacted] კორპუსის № [redacted] საკანში განთავსებულმა მსჯავრდებულმა [redacted] კორპუსზე გამოიწვია ხმაური (საცხოვრებელი საკნიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა [redacted] კორპუსის № [redacted] საკანში მყოფ მსჯავრდებულს). თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნაზე, დაწყნარებულიყო, რეაგირება არ მოახდინა და გააგრძელა ხმაური. ზემოაღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა დაარღვია პენიტენციური კოდექსის 70-ე მუხლის და №2 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-80 მუხლის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამოც, მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სახდელის სახე - გაფრთხილება.[7]

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებულ დოკუმენტებში დარღვევა დადგენილია მხოლოდ № 2 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორი თანამშრომლის ახსნა-განმარტებით. ამასთანავე, მიღებული დოკუმენტების შინაარსით, კერძოდ კი, უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მიერ შედგენილი ოქმით ირკვევა, რომ [redacted] გააცნეს უფლებები დისციპლინური დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, მან უარი განაცხადა შესაბამის ოქმზე ხელის მოწერასა და წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე.[8] იმავე პირის მიერ დამატებით შედგენილი ოქმით, ასევე ირკვევა, რომ მსჯავრდებულს გააცნეს დირექტორის განკარგულება დისციპლინური სახდელის დადების შესახებ და ამ შემთხვევაშიც, [redacted] განკარგულების ასლების ჩაბარებასა და ხელის მოწერაზე უარი განაცხადა.[9]

რაც შეეხება მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განთავსების საკითხს, № 2 პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, 2025 წლის 7 თებერვალს, [redacted] იყო აღელვებული, გაღიზიანებული (მიზეზი დაკონკრეტებული არ არის), გამოხატავდა უცხაურ ქცევებს, სხეულზე მიიყენა თვითდაზიანებები და კვლავ იმუქრებოდა თვითდაზიანებით, რის გამოც მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი დეესკალაციის ოთახში განთავსება.[10]

მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ასევე დამატებითი ინფორმაცია [redacted] 2025 წლის 1 იანვრიდან 7 თებერვლამდე პერიოდში დეესკალაციის ოთახში განთავსების სტატისტიკისა და ასევე, მსჯავრდებულისთვის სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 3 თებერვლის პასუხის ჩაბარების თარიღის შესახებ.[11]

მიღებული პასუხით დადგინდა, რომ 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ, [redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსებული იყო მხოლოდ 2025 წლის 7 თებერვლის 18:35 საათიდან 2025 წლის 8 თებერვლის 16:40 საათამდე და მანამდე, მისი დეესკალაციის ოთახში განთავსების ფაქტი არ ფიქსირდება. დადასტურდა ასევე, რომ სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 3 თებერვლის №25/1047 გზავნილი მას 7 თებერვალს ჩაბარდა.[12]

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.[13]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, დისციპლინური სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, **აუცილებელია, პატიმარს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალის ხასიათის შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო, მოემზადოს დაცვისთვის.**[14]

ამასთან, ციხის ევროპული წესების თანახმად, **დისციპლინური სასჯელის დაკისრების დროს პატიმარი უნდა იყოს უფლებამოსილი, დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს.**[15]

პენიტენციური კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.[16] კოდექსი სრულყოფილად ადგენს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პროცესში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონაწილეობის უფლებას და გარანტირებულად განსაზღვრავს, რომ **ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება.**[17] ამასთან, **დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი გამოცემისთანავე გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს.**[18]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად ინტერესდება საქართველოში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკით არა მხოლოდ ინდივიდუალური განცხადებების/საჩივრების შესწავლის პროცესში, არამედ სისტემურადაც. 2019 წელს გამოცემულ შესაბამის სპეციალურ ანგარიშში[19] ასახულია ამ მიმართულებით გამოკვეთილი არაერთი პრობლემა. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ **პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ და დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს. უფრო მეტიც, არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობაც კი.** აღნიშნულის გარდა, **საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, არც ერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს ეცნობა დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაცია და ჩაბარდა შესაბამისი განკარგულება.**[20]

მითითებული ხარვეზები გამოიკვეთა ასევე მომდევნო წლებში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინდივიდუალური საქმეების შესწავლის პროცესში.[21]

წინამდებარე საქმის ანალიზი

მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და აპარატის მიერ დამატებით მოპოვებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, მაღალი ალბათობით დასტურდება, რომ № 2 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს მსჯავრდებულ [redacted] შესაბამისი წესით არ გაუცვნიათ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე წარმოებული მასალები, არ შეუთავაზებიათ განხილვაში მონაწილეობის მიღება, ახსნა-განმარტების მიცემა, არ მიუწოდებიათ ინფორმაცია დისციპლინური ბრალდების შესახებ, არ ჩაბარებია შესაბამისი განკარგულება, რითაც მსჯავრდებულს დაერღვა მისი გასაჩივრების უფლება.

ზემოაღნიშნული დასკვნა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

1. 2025 წლის 9 იანვარს, სახალხო დამცველთან შეხვედრის დროს, მსჯავრდებული [redacted] მიუთითებდა, რომ № 2 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას სხვა მსჯავრდებულის მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე. **შესაბამისად, იმ დროისთვის, [redacted] არ ფლობდა ინფორმაციას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე.** 9 თებერვლამდე პერიოდში მასთან განხორციელებული კომუნიკაციის პროცესში (შემდგომი განცხადებები, შეხვედრები), მსჯავრდებული სხვა პრობლემებს აფიქსირებდა და მის მიმართ გამოყენებულ დისციპლინურ სახდელთან დაკავშირებით პრეტენზია მხოლოდ 2025 წლის 9 თებერვალს გამოხატა, სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დარეკვის დროს;
2. **დასტურდება, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი პასუხის მსჯავრდებულისთვის ჩაბარებისა და მისი დეესკალაციის ოთახში განთავსების თარიღები ემთხვევა ერთმანეთს, რაც სარწმუნოს ხდის მსჯავრდებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მან მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციის მიღების დღეს - 2025 წლის 7 თებერვალს შეიტყო, რამაც მისი აღელვება და შედეგად, დეესკალაციის ოთახში განთავსება გამოიწვია.** ამასთანავე, შესაბამის პატაკში/ახსნა-განმარტებებში მითითებულია,

რომ 2025 წლის 7 თებერვალს, მსჯავრდებული იყო აღელვებული და გაღიზიანებული, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი;

3. 2025 წლის 1 იანვრიდან 7 თებერვლამდე პერიოდში, მსჯავრდებული [redacted] არც ერთხელ არ ყოფილა განთავსებული დეესკალაციის ოთახში, რაც შესაძლოა ადასტურებდეს იმას, რომ ზოგადად ხსენებული მსჯავრდებული არ არის თვითდაზიანებისკენ ან იმგვარი ქცევებისკენ მიდრეკილი, რაც აყენებდეს მისი დეესკალაციაში სისტემატიურად გადაყვანის საჭიროებას და შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ მას ჰქონდა ემოციური რეაქცია სნორედ იმ ინფორმაციაზე, რომელიც მისი დისციპლინური დასჯის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის წერილით შეიტყო;
4. უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებულ დოკუმენტებში **მტკიცებულებად გამოყენებულია მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების 2 თანამშრომლის სრულად იდენტური შინაარსის ახსნა-განმარტება**;
5. სამართალწარმოების პროცესში **არ არის მოპოვებული არც ერთი ნეიტრალური მტკიცებულება და არ ჩანს მათი მოპოვების რაიმე სახის მცდელობაც კი,** მაგალითად, ვიდეო-ჩანაწერის დაარქივება ან სხვა მსჯავრდებულების გამოკითხვა.

დასკვნა

ამრიგად, მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, [redacted] მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება, მაღალი ალბათობით, განხორციელდა მსჯავრდებულის უფლებების ხელყოფით, რაც საჭიროებს წინამდებარე საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილ შესწავლას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [redacted] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 13 იანვრის №25/198 წერილი.

[2] პენიტენციური დეპარტამენტის 2025 წლის 23 იანვრის №19450/01 პასუხი.

[3] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 3 თებერვლის №25/1047 პასუხი.

[4] სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის №1440/ო25 ოქმი.

[5] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 21 თებერვლის №25/1497 წერილი.

[6] №2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 25 თებერვლის №52779/01 პასუხი.

[7] №2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 იანვრის №20/4806 განკარგულება.

[8] 2025 წლის 6 იანვრის ოქმი.

[9] 2025 წლის 13 იანვრის ოქმი.

[10] № 2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის № 444 ბრძანება, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის 2025 წლის 7 თებერვლის პატაკი და მორიგე ექიმის 2025 წლის 7 თებერვლის ახსნა-განმარტება.

[11] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 11 მარტის №25/1961 წერილი.

[12] №2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 12 მარტის № 68379/01 პასუხი.

[13] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[14] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, წესი №41 (2).

[15] ციხის ევროპული წესები, (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006) № 2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით) წესი №57.2 (გ).

[16] პენიტენციური კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[17] პენიტენციური კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[18] პენიტენციური კოდექსის 75-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[19] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019 წელი. ანგარიში ასახავს საქართველოს მასშტაბით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით, და

17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით პერიოდში დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე 307 განკარგულების შესწავლის ანალიზს.

[20] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის თანახმად, პატიმრების მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებათა 49%-ის (151 განკარგულება) შემთხვევაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია დოკუმენტის ჩაბარების თაობაზე, ხოლო განკარგულებათა მეორე ნახევარზე – 51% (156 განკარგულება) გვხვდება პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი რეჟიმის ოფიცრის შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა უარი განაცხადა მასალების ჩაბარებაზე. გვ. 23.

[21] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 69-70; 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 107-108; საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 19 დეკემბრის № 2024/7420 წინადადება საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი